გაზეთის ფასი

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჭიჭინაძის სავაჭროს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს 4 მარტს

ტფილისი, 28 თებერვალი

ჩვენ ღვინის კეთების ავ-კარგიანობის გამო წინა წერილში[1]) ვსთქვით, რომ ღვინოს მარგებელ და სასარგებლო სასმელადა ჰხდის მარტო ერთი ბუნება და ვერავინ ვერ გვეტყვის, რომ აქ, ღვინის კეთებაში ბუნებას კაცმა აჯობოს. ბუსსენგო, რომლის ღვინის ანალიზები უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა და რომელიც ამ საქმეში ავტორიტეტად ითვლება, თავის მოხსენებაში ამბობს, რომ თუმცა მეცნიერებამ ამ უკანასკნელს დროში ბევრი რამ ახალი აღმოაჩინა, მაგრამ ძნელად ითქმის, რომ შესაძლო იყოს ბუნებურ ღვინის მსგავსი რამ განგებ გააკეთოს ადამიანის ოსტატობამ და ხელმაო. ეგ იმიტომაო, რომ ბუნებურის ღვინის გემო, სუნი (ბუკეტი) და ჯანის შესახები კეთილ-მოქმედება დამოკიდებულია იმისთანა ნივთიერებაზედ, რომელიც ჯერ ჩვენგან გამოცნობილი და მიგნებული არ არისო. გერმანიის რჯულდება პირ და-პირ და ცხადად ამბობს, რომ ღვინო მარტო იმასა ჰქვიან, რაც მარტო ყურძნის წვენისაგან კეთდება და სხვა არა-რა განგებ ჩარეული და ჩამატებული არა აქვს-რაო. მართალია, სხვა-და-სხვა გვარი ოსტატობა ღვინის კეთებისა, მაგალითებრ, შაპტალიზაცია, გალლიზაცია, პეტიონიზაცია და სხვა აკრძალული არ არის, მაგრამ ამ ოსტატობით ნაკეთები სასმელი არ შეიძლება კაცმა ჰყიდოს, თუ ჭურჭელზედ ზედ წარწერილი არ იქნება, რა გზით არის ნაკეთებიო. საფრანგეთის კანონები წყალის ჩამატებასაც კი ღვინოში ფალსიფიკაციას ეძახიან, ესე იგი, ყალბის ღვინის კეთებასა[2]). ჩვენში ამ საგანზედ თავის დღეში არავითარი რჯულდება არა ყოფილა და თუ ყოფილა, ჩვენ არსად შეგვხვედრია. მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ჩვენებური ხალხი ძალიან ჰთაკილობს ღვინოში ყურძნის წვენის მეტი სხვა რაიმე ჩაურიოს და ვისაც ეგ კანტი-კუნტად სადმე გაუბედნია, ყოველივე ღონისძიება უხმარია, არავინ შემიტყოსო. ესოდენ სირცხვილად და ცოდვად მიაჩნდა ჩვენში ყველას წმინდა წვენი ბუნებისაგან მოცემულის ყურძნისა წაეწყმიდა და შეებღალა რითიმე თავისგნით ჩამატებულით და ჩარევითა. ამ სიფრთხილეს ზნეობითის თვისებისას, სხვა სიფრთხილე და შიშიც მოსდევდა, იმიტომ-რომ არც ერთი ვაჭარი, არც ერთი სირაჯი იმისთანა კაცის მარანს არც კი მიეკარებოდა, ახლოც არ გაუვლიდა. და როცა ამქრობას თავისი ძალა ჰქონდა, შეჰკრავდა კიდეც მარანს, რომ არავის გაეჭაჭანა. ესეთი პატივი ჰქონდა ჩვენში ბუნებურს ღვინოს და თუმცა ესეთი პატივი არა აქვს დღეს ევროპაში, მაგრამ იქაც კი მაინც ძნელად მოიპოვება კაცი, რომ წმინდა შეურეველ, ხელთუქმნელს ღვინოს ყოველთვის წინ არ აყენებდეს ხელთ-ქმნილზედ. მაშასადამე, ჭეშმარიტი საგანი ღვინის კეთებისა, ამისი თავი და ბოლო — ბუნებურის ღვინის შექმნაა, ესე იგი, ყურძნის წვენის დაღვინოებაა იმ გზით, რა გზითაც თვითონ ბუნება ყურძნის წვენს საღვინოედ ამოქმედებს და ბუსსენგო ამბობს, რომ არავითარი ადამიანის მიერ მოგონილი ღონე ამას ვერ შესძლებსო, თუმცა მეცნიერებამ ბევრი ახალი იარაღიც მისცა ხელშიო. მეცნიერებამ ბევრი რამ აღმოაჩინა ქვეყანაზედ: მაგალითებრ, ღვინის დაფერვა თუ გინდა, ფუქსინი დარიშხანით ჩააყარეო, თუ გაი ფერის მიცემა გინდა, რკინის შაბიამანი ჩაურიე ღვინოშიო; ან როცა ღვინოში წყალს ასხამ, რომ ეს არ შეემცნიოს, გოგირდის მჟავე (сѣрная кислота) ჩაასხიო,— და განა იგივე მეცნიერება არ იძახის, ერთიც, მეორეც და მესამეც მაწყინარიაო! კაცს წყალის გასაღება უნდა ღვინის სახელითა და სიყალბეს გოგირდის მჟავით ჰმალავს, კაცს წამლებით შეუღებავს ღვინო და ამით მუშტარის მოტყუება ჰსურს,—ეს ღვინის კეთებაა!

არა, შორს ჩვენგან ამისთანა ღვინის კეთება! ყოველს იმას, რასაც კაცი თავისგნით ყურძნის წვენში უმატებს, წყალია, შაქარია, თუ გადაწმენდილი არაყი და ან სხვა რამ ჩვენ ღვინის წახდენად ჩავთვლით და ამას ცოტად თუ ბევრად დავინახავთ, როცა იმის გარჩევაში შევალთ, რას ითხოვს ბუნება, რომ ბუნებური ღვინო შეიქმნას და რას, მოასწავებენ ის სისტემები ღვინის კეთებისა, რომელნიც ჩამატებასა და შერევნაზედ არიან დაფუძნებულნი და შეელიზაციად, შაპტალიზაციად, გალლიზაციად და პეტიონიზაციად სახელ განთქმულნი.

[1]) იხ. „ივერია" № 41.

[2]) „Journal des Debats" 10 თებერვალს 1874 წელსა ამბობს,—რომ არა კანონი არ უშლის კაცს ღვინოში რამდენიც უნდა წყალი ჩაურიოს, ოღონდ კი, თუ ჰყიდის ამისთანა ღვინოს, მუშტარი არ მოატყუოს და ღვინის მაგიერ წყალ-ღვინო არ მიაჩეჩოსო. ერთის სიტყვით, გამსყიდველმა უნდა გამოაცხადოს ხოლმე ღვინოში ამდენი წყალია განგებ დასხმული და ამდენი ღვინოვო.

## ახალი ამბავი

*** ჩვენს ქალაქს ახლოს, სულ 7—8 ვერსტის სიშორეზე, მდებარეობს სოფელი დიღომი. სოფელი პატარა არ არის, თითქმის სამასამდე კომლი ცხოვრობს აქა. ქალაქის სიახლოვე დიდს შეღავათს აძლევს ამ სოფელს; ფული გაუჭირდება თუ არა დიღმელს, მაშინვე ქალაქში მოაქვს რამე, ჰყიდის და ხელს იმართავს. დიღმელს არა დაეკარგებარა, ყველაფერს აქ ფასი და გასავალი აქვს, ასე რომ დიღომი, სხვა სოფლებთან შედარებით, თავის ბედს ვერ დაემდურება და ვერ იტყვის, რომ სიღარიბე გვჩაგრავსო. და აი როდესაც მიყრუებული, ქალაქზე მოშორებული სოფლებიც კი განათლებასა ცდილობენ და სკოლებსა ჰმართევენ, დიღომს ეს ფიქრადაც არ მოსდის, ამოდენა სოფელი აქამდინ უსკოლოდ არის. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ სოფელში ცხოვრობს შეძლებული, საქართველოს პირველი თავადიშვილი.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ტფილისში ჩამოსულა მღვდელი პ. კარბელაშვილი ქართულის საეკკლესიო გალობის ნოტებზე დაწერის განსაგრძობად, მაგრამ გალობის გადამღები ნოტებზედ ბ-ნი იპპოლიტოვი-ივანოვი ამ თთვის დამდეგს პეტერბურგშია წასული მარტის გასვლამდე.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, მომავალ მარტის თთვის 4, 11, 18 და 23 რიცხვებში ბ-ნი სტრუვე წაიკითხავს ოთხს ლექციას „ფილოქსერის" შესახებ.

*** 27 თებერვლის კრებაზე კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გარდასწყვიტა წლიური კრება გამართოს სეკრეტრის ამოსარჩევად, რადგანაც უწინდელი სეკრეტარი ბ-ნი ვერმიშევი თავს ანებებს თავის თანამდებობას. კანდიდატებად დასახელებულნი არიან: ბ-ნი იოსელიანი, არასხანიანცი და აბელიანცი.

*** გორის სასულიერო სასწავლებელში კვირა-უქმეების წინა დღეს, ოთხის ნახევარზე შუადღის უკან, მასწავლებლები მორიგად უკითხავენ მოსწავლეებს სხვა-და-სხვა წმინდანთ ცხოვრებაზე და ზნეობითის შინაარსის წიგნებსა. იანვარში სხვათა შორის წაუკითხნიათ წმინდა მეფე დავით აღმაშენებელსა, შიო მღვიმელსა და წმინდა ნინო ქართველთა განმანათლებელზე. ამ გვარი კითხვა გაგრძელდება მაისამდინაო.

*** ქართლიდგან გვატყობინებენ, რომ ცხვარს ყვავილი გაუჩნდა და ძალიან ბევრსაცა ჰხოცავსო.

*** იქიდამვე გვწერენ: თებერვლის 20-იდამ მოკიდებული 24-დე ქართლში მუდამ დღე თოვდა, ქარი ჰქროდა და ისეთი კორიანტელი იდგა, რომ

## ფელეტონი

### მეველე

(ამბავი ხალხის ცხოვრებიდგან)

I

ტატე კახნიაშვილს მეველეობა არა ჰსურდა, მაგრამ რას იზამდა, სოფელი გადაეკიდა, გინდა თუ არა, შენ უნდა იყოვო. ახალი გამოზაფხულება იყო; ტატემ მაზარა მოიმზადა; გასაყრიდამ კომლში გამოყვანილი ხამი კომბალი ჩამოითლო და როკნიდა.

— როგორც შენი დანით დაკვლა არ მინდა, ისე ე მეველეობა, მაგრამ ხალხის ხმას ვერ წავუვედი, ჩემო სესე! ელაპარაკებოდა ტატე მეზობელს სესეს დარბაზის დერეფანში; ორნივე დერეფნის დირეზე ისხდნენ; ტატეს დამეხრევებულს ბიჭს ზაქას კი მამის წინ მოეკეცნა და თვალებს აყოლებდა კომბალის როკვნასა.

— მამილო, რათა როკნი მა კომბალსა, ჰა?

— იმიტომა ვროკნი, რო მგელს თავში უნდა დავარტყა და გავუნაჭყო.

— ეაა! მგელს ჩვენი ყურშაც ვერას დააკლებს და ემა კობალმა რა კისერი უნდა მოუგრიხოს, მერე?

— მგელი არ იქნება და ავ კაცს გავუნაჭყავ თავსა, უთხრა მამამ.

— ეჯა! რაებს ამბობს ე მამაი ე!

— ღმერთო, ე ტატეი რა უცნაურია! ე მაგიტომ გეძახიან ავყიასა, აი! ჩაერია მამაშვილის ლაპარაკში სესეცა.

— ყური დამიგდე, ნათლი სესე! ავი კაცი და მგელი ერთად შემიფარდებია; მგელსა სუ გაგლეჯაზე უჭყეტია ი სამიწე თვალები; რასაც მიეკარება, სუ ააყროლებს და ამძოვრებს ხოლმე. მგელი რო საქონელსა გტაცებს და სჭამს, ავი კაცი კაცებსა სჭამს; ი მგელ-კაცას რო იტყვიან, ავი კაცი სოფელში სწორედ პირ-წავარდნილი ის არი... მწ! არა!... დამაცა, დამაცა, სესე... სახალხოდ რამდენჯერ მითქვამს, გული ამომვარდნია ჭაჭანითა და ლაქ-ლაქითა, რო აი ლალიაშვილი, კიდევ აი მექუა, ამოსავარდნი კაცია-მეთქი; მგელი რას უზამს კაცსა იმაზე მეტსა: ყანას ისინი გვიფუჭებენ, სიმინდსა, ლობიოსა, ვენახსა და რა ვიცი კიდევ რასა; ადამიანის ენა პირი ვერც კი მოსთვლის სულ ყველასა. მგელი რო მყრალია მყრალია: წყვილი ძაღლი მყავდა ე ირემაძიაანთსა მოჯამაგირედ რო ვიყავი, მაშინა; ცხვარს მადევნებდნენ; თითო ხარადა ჰღირდა თითო ძაღლი; ცხვარი ფარეხში დავყარე, ზაფხული იყო, შინათკენ წამოველ-ვენახოთ, მოიჰრა ბუთხუზაი—ი ჩემი ძაღლი, მწევს ჩოხის კალთასა, რო კინაღამ ჩამომაგლიჯა; მიუხვდი ბუთხუზას გულის-პასუხსა; გავქანდი; ორ მგელს გაუკავებიათ თოლია-ძაღლი, დაუბღუნიათ; დალორებულან სამნივენი, გაფაფხულა თოლია და საძრაობა ვერ უქნიათ... გასაოხრებელი ი გამოზაფხულებაზე სოფელში ჭირი შემოგვიდგა, გვერდაზე ლეშსა ჰყრიდნენ და მგელი შემოგვეჩვია.. რო წაველ, მოგლიჯდა ბუთხუზა და დადეზებული ზედ გადიარა მგლებზე; ერთმა უშვა და მოჰძურწა; მეორე კი გაგუდეს... ჰო, იმას ვამბობდი, რო მგელი მყრალია მეთქი. ჰო, დიახ, მყრალია: იმ ღამეს, კაცო, ახლოც ველარ მივეკარენით თოლიასა, ისე ჰყარდა; დაედორბლა ი სალავათს ძაღლსა; მერე კისერი მოევგრიხა და სუ ერთიან ტყავი გასძვრა თოლიასა.

— ჰჰუ! მითამ?! გაოცდა სესე.

— მითამ კი არა, ე დღევანდელი მზის შუქის მადლმა-მეთქი!.. ჰო იმას ვამბობდი, რო ავი კაციც მავნე რამ არის, შენ ხარ ჩემი ბატონი, იმისთანა საქმეს დაგმართებს, რო თავბედი გაწყევლინოს, კუდამდი ტყავს აგართმევს... სოფელი ცხვარია; ვინც ხმას ამოიღებს, ავყიაა. დედას დაველიო, თუ მე დღეის უკან ი ჩვენ მგელ-კაცებს საქონელი კიდევ წავახდევინო რამე. რათა, შვილო და ძმაო, რო მამერიო, იმიტო უნდა გადამლახო: ამითანაობა არ უნდა იყოს...

ასე ელაპარაკებოდა ტატე მეზობელს, რომელიც ჩაფიქრდა და გარინდდა ტატეს სიტყვებზე.

ჩვენი ტატე მარტოხელა, ერთი ტლუ ბიჭი იყო; კარგა ხანს იწოწიალა აქედ-იქით; ათსგან იმოჯამაგირავა, ასე გასინჯე აჯამეთშიაც იყო. სოფელში მიდგომ-მოდგომით გამოცდილიყო; მოჯამაგირობაში წიგნიც ესწავლა, ასე რომ მთელ თავის სოფელში ის იყო მხოლოდ ერთად-ერთი „წიგნის კაცი" (ასე ეძახდნენ სოფლელები); ტანთ, რაც კი შეეძლო, სუფთად იცვამდა. ხალხში ეხტიბარს არ იტეხდა, თუმცა კი ღარიბი იყო; მთელს სოფელს ის აფხიზლებდა და ატრიალებდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა სხვის კარეითად, ბოლოს ისევ თივის დანგრეულს დარბაზს მიატანა. კვირა-უქმით ხალხი რომ შეიყრებოდა ხოლმე სალაყბოდ, ტატე იმათში პირველი იყო; ხალხის ღრიალ-ღორლალში ტატეს კაჟი ხმა ყველასაგან ერჩეოდა; ის რომ ხმა-მაღლა გაიკასკასებდა ხოლმე, მეზობლები მაშინვე მიჰხვდებოდნენ, რომ ტატე ხალხში სდგას და ლაპარაკობსო; ჩაერევოდნენ ისინიც ხალხში, რომ ტატეს ექიათებისათვის ყური დაეგდოთ. სოფლის თვალში ტატე ძრიელ ავყია კაცად იყო მიჩნეული; არავის არას დაუთმობდა; თუ ვინმე სჩაგრავდა საწყალს კაცსა, ის უნდა გამოჰქომაგებოდა; ყველას მოსარჩლე, ყველას გულ-შემატკივარი, ავან-ჩავანი ტატე იყო; სოფელმა იცოდა ესა; გულით და სულით უყვარდა ის ყველა კაცსა, მაგრამ ამასთანავე თვალის ეკალი იყო, რადგან სამართლიანი სიტყვა მართალის ტატესი ხალხს თვალებს სტკენდა, გულს უწყლავდა და უსერავდა, და ამიტომ ტა-

თვალთა წინ აღარა სჩანდა-რა. გორში ერთს არშინამდე ჩამოჰყარა თოვლი, ქარელს ზემოდ სოფ. გომში, სურამში და მის ახლო-მახლო ერთის საჟენის სიმაღლეზე დასდო თოვლი; ტფილისიდამ წასული მატარებელი გორში ჩერდებოდა, წინ ველარ მიდიოდა და უკანვე ბრუნდებოდა ტფილისისაკენ. 24 და 25-ს თებერვალს მატარებელი გორს ზემოდ სულ აღარ გასცილებია.

*** კახეთიდგანაც უჩივიან ცუდს დარებს. აი, მაგალითად, სიღნაღის მაზრიდგან რას გვწერენ: დასავლეთის ქარმა ილაჯი წაიღო. ყველიერში თუმცა მოსავლისთვის მეტის მეტი კარგი დარები დაიჭირა, მაგრამ დადგა დიდ-მარხვა და მოჰყვა თან ქარი. 25 თებერვალს ისე გაძლიერდა, რომ თითქმის დედა-მიწას ჰგლეჯდა. სახლების სახურავები (ჩალურები), კრამიტები სულ დაგლიჯა და ძირს გადმოყარა. ამას კიდევ ვინა ჩივის,—ქარი მინდვრადაც გავიდა, დაჰკრა ალაზნის ველს და ისეთი კორიანტელიააყენა, თითქოს სქელი ნისლი გადაჰფარებიაო. ახლად ამოსული ჯეჯილი პირ-ქვე დასცა და ამოახმო, ნახნავებიც თითქმის სულ აჰხვეტა და აჰგავა. თუ ეს გვაკმარა, კიდევ მადლობა ღმერთსაო.

*** კახეთიდამვე ერთს სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ.

ამ ხანებში იერის პირად თათრები დასცემოდნენ მეცხვარეს; მეცხვარე მარტოდ-მარტო ყოფილიყო; თათრებს შეეკრათ საწყალი თოკებით, შეკრული მიწაზე დაეგდოთ და ორას სულზე მეტი ცხვარი გაერეკათ.

მაზრის უფროსმა განკარგულება მოახდინა ავაზაკების შესაპყრობლადაო.

*** მთელს ქართლში ცუდი დარები დაუჭერია. რაც იქიდგან წერილები მოგვდის, სულ იმაზეა ჩივილი, რომ ცუდმა დარებმა შეგვაწუხესო. აი სხვათა-შორის სურამიდგან რას გვწერენ: ჯერ პირველად თებერვალმა საქმე ისე გაუჭირა იანვარში მოსულს თოვლს, რომ კინაღამ ქაფურივით გააქრო. მაგრამ ამ ბოლოს დღეებში თებერვალმაც კუდი მოიტრიალა და რაც იანვარმა დაგვაკლო, ის ამან შეგვისრულა. 23, 24 და 25-ს თებერვალს თითქმის ოთხი-ხუთი იმაზედ მეტი თოვლი მოვიდა, რაც იანვარში იყო. დიახ საშინელი ცუდი ამინდი დაიჭირა ამ სამ დღეში, მეტადრე ბოლოს დღეს, და რომ დღეს არ გამოედარა სწორედ საქმეს გაგვიჭირებდა ეს ამინდი.

გუშინ მოდიოდა საშინელი წვრილი მშრალი თოვლი; დასავლეთის ქარიც ისრე ღონივრად უბერავდა და ურევდა თოვლს, რომ კაცს ვერ შეეძლო თვალ-წინ მდგომი ადამიანი გაერჩია. თოვლი თითქმის ორ არშინზე დასდო. ტყეში გზები ხელ-ახლად შეიკრა და შეშა ისევ გაძვირდა.

*** სურამიდგანვე გვწერენ: გუშინ, 25 თებერვალს შუადღისას ვიღაც სურამელი ურია წამოსულიყო ქვიშხეთიდგან სურამში. როდესაც მოუახლოვდა თურმე ეს საწყალი სურამს, გზა დაეკარგა და ცხენმაც, რომელსაც ფართალი ეკიდა, ველარ იარა. ურიას საქმე გასჭირებოდა, ცხენისთვის თავი დაენებებინა და ფეხით ვითომ სურამისკენ წამოსულიყო. მაგრამ სურამის მაგივრად უკან ქვიშხეთისკენ წაბძანებულა და ცოცხალ-მკვდარს ძლივს მიუხწევია შუა გზაზე მდებარე სოფელს ცხრამუხაში. დღეს ურიის ცხენი ხა მურის ახლოს თოვლში ცოცხალ-მკვდარი, გაყინული ენახათ.

*** სომხურ გაზეთ „ნორ-დარს“ სწერენ ყაზახიდამ: თოვლი მოდის, მაგრამ სიცივე ძალიან არ არის, ამიტომ დნება და ტალახია. ხორბალს კარგი ფასი დაედო; თალარი შვიდ-რვა მანათად იყიდება; ქერი თალარი 3 მანათად.

*** ამავე გაზეთში იწერებიან, რომ ქალაქში ავლაბრის ეჩმიაძინის წმინდა გიორგის სამრევლო სასწავლებლისათვის შეუწირავთ: ბატონს ჩითახოვს 150 მანათი, ფრიდონოვს და ყაზაროვს 50 მანათი. ამ მოხსენებულ პირთ აღუთქვამთ, სკოლას კვლავაც დავეხმარებით მუდამ წელს ამ გვარის შემოწირვითაო.

## ტფილისის ქალაქის საბჭო

(23 თებერვლის კრება)

(დასასრული *)

შემდეგ მოისმინეს ახლად დაარსებულის ქალაქის სესხის გამცემ კასსის დირექტორის მოხსენება. ბ-ნი ყაზარიანცი სთხოვდა საბჭოსა, დაადგინეთ, რამდენი სარგებელი უნდა გადაჰხდეს გირაოს პატრონებს, რა ვადით უნდა მიეღოთ გირაოები და სხვ. საზოგადოდ საჭიროა მალე დამტკიცდეს კასსის წეს-წყობილება, რადგან ამ დღეებში სრულიად ჩავიბარებ პრიკაზში დაგირავებულ ნივთებსაო. ეს მოხსენება გამგეობას და საფინანსო კომისიას ერთად მოესმინათ, გაესინჯათ, თავის აზრი დაედგინათ და მათი აზრი საბჭომ ერთხმად მიიღო. აი რა წესია დადგენილი ამ კასის მოქმედებისა:

ა) წლიური სარგებელი დაინიშნოს თავნზედ 12%

ბ) შენახვისა და ცეცხლისგან შეკვრისა გამოერთვას გირაოს პატრონს ამ ანგარიშით: **სამის** თთვის ვადით დაგირავებულზედ $1/4$%, **ექვს** თთვემდე—1%, **ცხრა** თთვემდე—3% მთელს ვადაზედ და ამაზედ ზევით **წლამდე**—4%.

გ) გირაოს გაყიდვისათვის „ნეუსტოიკა“ არ გამოერთვას.

დ) **ოც თუმანზედ** მეტი სესხი არ გაიცეს.

ე) „პრიკაზისაგან“ გირაოების ჩაბარების დროს ის გირავნებიც მიიბაროს კასამ, რომელნიც ქალაქის დამფასებელმა 30% ნაკლებ დააფასა, ვიდრე პრიკაზს ფასი უძლევია.

ვ) ოქრო-ვერცხლეულზედ მიეცეს 80% დაფასებულისა, დანარჩენებზედ 75%.

ზ) ქალაქის კასსამ არ მიიღოს გირაოები არც კერძო კასებისაგან და არც იმათგან, ვინც გირაოებში ფულს ასესხებს, თუ ამათ იცნობს ქალაქის კასის დირექტორი.

ჱ) გირაოდ მიიღება ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი თვლები, მარგალიტი და, ბ-ნის დირექტორის თანხმობით, სხვა ძვირფასი ნივთეულობაც.

თ) ეს წესი წარედგინოს სახელმძღვანელოდ ბ-ნს დირექტორს „ქალაქის სესხის გამცემის კასისას“, მანამ სხვა დაწვრილებითი „წესდებულება“ შესდგებოდეს.

მეტი საყურადღებო საგნები არა მოუსმენია-რა საბჭოს ამ დღეს. კრება რომ იშლებოდა, ბ-ნმა იკანენკომ ითხოვა, რომ ალექსანდრეს ბაღის გამო საბჭოს გადაწყვეტილება ხელ-მეორედ განიხილოსო. ბ-ი ქალაქის თავი დამპირდა, რომ ეს საგანი მოხსენდება საბჭოსაო.

კრება დაიშალა 11 საათის ნახევარზედ. დაესწრო 43 ხმოსანი.

*) იხ. „ივერია“ № 42.

## პატარა შენიშვნა

ამას წინად სიღნაღის მაზრისკენ მომიხდა მგზავრობა. რასაკვირველია, როგორც ქართველმა კაცმა, კაი დრო გამოვიარე კახეთში, რაც შეეხება დროს გატარებას. მაგრამ ეს დროს გატარება სრულიად ჩამშხამდა, კახელების ყოფა-ცხოვრებას რომ დავუკვირდი; ისე გადასხვაფერებულა აქ ყველაფერი, რომ ჩვენი კახეთი მე სულ სხვა კახეთად მეჩვენა. კახეთში საზოგადოდ გლეხი-კაცი მდიდრდება, თავადიშვილი ღარიბდება; გლეხი ვალებს იშორებს, თავადიშვილი-კი ვალში ვარდება. თავადებს ზნედ გადაჰქცევიათ: ერთმანერთის ცემა-ტყეპა და ურთიერთ-შორის სადავო საქმის მუშტით და ხანჯლით გათავება. თავის მამა-პაპის სისხლით შეძენილ მამულებს ცალ მანყულად ჰყიდიან და არცა სწუხან: ჩვენ-კი ვიცხოვროთ და ჩვენი შვილები ფეხებზე გვკიდიაო. ტყეებს ერთმანეთის ჯაბრით ჰკაფევენ და აოხრებენ. დღევანდელი თავადიშვილები ისინი აღარ არიან, რაც ამათი მამები იყვნენ. ვაჩნაძეების და ანდრონიკაშვილების ტყეებზე დავიდარაბა არავის არ აძლევს მოსვენებას...

აი რა ვნახე კახეთში!

მგზავრი

# დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქ. ოზურგეთი.** ამ თთვის 2-ს აქ გამართეს ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ კონცერტი. კონცერტის ბოლოს წარმოადგინეს სცენის მოყვარეთა მეოთხე მოქმედება „თამარ ბატონიშვილიდგან“. როგორც წარმოდგენამ, ისე კონცერტმა რიგიანად ჩაიარა; ხალხიც, რაც შეეფერება ჩვენს ქალაქს, ბლომად დაესწრო.

ელიზბარის როლი რიგიანად აასრულა ბ-ნმა ტა—ლმა. ეტყობა, ამ ახალგაზდა ყმაწვილს სცენაზე თამაშობის ნიჭი აქვს და შეუძლიან არა ერთხელ დაგვიტკბოს, გაგვიღვიძოს ჩვენ, პროვინციალებს მიძინებული სმენა. მხოლოდ საჭიროა ამ ყმაწვილმა და საზოგადოდ სცენის მოყვარეთ მიიღონ სახეში, რა ხალხი დაიარება წარმოდგენაზე, რამდენად განვითარებულია გონებით ეს ხალხი. იმ დღეს, მაგალითად, თამაშობის დროს სულთმობრძავმა ელიზბარმა უფრო სიცილი გამოიწვია მდაბიო ხალხში, მინამ გულ-შემატკივარი მწუხარება.

კონცერტში დიდი მონაწილეობა მიიღო ბ-ნ ა. ცამციშვილმა. რამდენიმე სიმღერა ქართულად და რუსულად მწყობრად იმღერა მისის ლოტბარობით ხორომ, რომელიც სასულიერო სასწავლებლის შეგირდებისაგან არის შემდგარი. დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი ცამ—ლი, რომ არა ჰზოგავს საქველ-მოქმედო საქმეში თავის ღონესა და ნიჭსა. აგრეთვე მადლობა დაიმსახურა ბ-ნ მაზრის უფროსმა, რომელიც შეეწია სცენის მოყვარეთ ბილეთების გაყიდვაში. ვისურვებთ, რომ შემდეგშიაც აღმოეჩინოს შემწეობა წარმომდგენელთათვის. ამ ახლო ხანებში იქნება წარმოდგენა, თუ ღმერთი შეგვეწია, „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ.

—

ამ რამდენისამე წლის წინედ აქ არსებობდა „გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა“. როგორც გვითხრეს, ეს „ამხანაგობა“ ეხლაც არსებობსო, მაგ-

---

ტეს მეტ. სახელად „ავყია“ უწოდეს. ამ სახელ-წოდებაში ხალხის სიძულვილი კი არ იხატებოდა, არამედ ქამიერი, წუთიერი გულის-ტკივილი და წყენა.

დარბაზს ტატესას სოლომანა კიკილაურის სახლი ჰქონდა ზედ მიდგმული; ბანი ბანზე გადადიოდა. სახლში რომ დაბრუნდა, ტატემ საქონელი გაიჩინა და ამ სოლომანას ბოსელში ება, ამიტომ ხშირად დადიოდა სოლომანასას; სიტყვა-წყლიან ტატეს სოლომანას სახლობა შაეჩვია, არ ერიდებოდნენ; ყველიერში ქანუელას ჩამოუბამდა ხოლმე ბოსლის გასაყრის ხევზე, სანარწყლის პირ-და-პირ, და გაჰქონდათ და გამოჰქონდათ. დღეს-ხვალიობით სოლომანას გასათხოვარს ქალსა ქეთეს ტატეს სიყვარული შაეპარა გულში. ქეთე, კიკილაურის ქალი, კარგი ოჯახი-შვილი იყო, ძმებით და დებით სავსე; დედ-მამა თავს ადგა; ერთის სიტყვით, ქეთე სრული ბედნიერი იყო. ახლად შეღერებულს ბიჭებს თვალი ეჭირათ, მაგრამ ქეთეს გული გამოცდილმა და ენა-წყლიანმა ტატემ შეიპყრო. დედ-მამამ ქეთეს რაღაცა ცვლილება შეატყეს; მთელი დღე და ღამე ბუხართან გამჩვერილი და გატუჩული იჯდა და საქმეს ხელს არა ჰკიდებდა; საღამოთი ბანზე გავიდოდა პირ-გაკრული, ჩამოჯდებოდა ერდოს ჭდეულზე და გულ-ხელ-დაკრეფილი გაჰყურებდა ტატეს გვერდზე მიღრეცილს ერდოსა. ამოუვარდებოდა დედა, სწყევლიდა, ჰქოქვიდა, მაგრამ კისერს გვერდზე ვერ მიაღებინებდა. ბოლოს-ბოლოს, რის ვაითა და ვაგლახითა დასძრავდა ადგილიდამ და წყევლა-კრულვით შეჰყვებოდა ხოლმე გაჯიუტებულს ქეთეს დარბაზის დერეფანში; კარებს ურდულს დაუმაგრებდა, რო ეს წყეული არსად გამივარდესო. მშობლებმა ალღო აიღეს, რო ქეთეს მუცლის გერემა გათხოვება იყო. სოლომანა დაბალის ხმით, მაგრამ ისე კი, რომ გაჯიუტებულს ქეთესაც გაეგონა, ჩაიღუღუნებდა ხოლმე „მეტიურს“ ხმაზე:

„ქრისტე ღმერთმა ამოაგდოს
ეხლანდელი ქალის რჯული:
სინამ გასათხოვარია,
ცეცხლთანა ჰზის გაბუტული;
როცა რო გაათხოვებენ,
მიეცემა დიდი გული.“

რაკი გაიწია ქეთემ, გაიწია; რა გაეწყობოდა, მიათხოვეს ტატე კახნიაშვილსა. სიღარიბემ, მურეხობაში ყოფნამ ქეთე ადრე-და-მალე მოსტეხა. მაგრამ რაკი პირმშო ვაჟი-შვილი დაუმეხრევდა, აღარას ნაღვლობდა. დედა ქეთესა ცოტა ხანს შემომწყრალი ჰყავდა; თვალები უდგებოდა, რომ ცოლი იმ კაცისა, რომელიც წინად ქეთესა თხოულობდა, დღეს გამოცანცქლული დადის, ლეჩაქ-ყურ გადაგდებული დაფრიალებს ამ ცისამარა დღე ბანზე, და იმისი ცქრიალა, ჯეირანა ქეთეს კი აბრანძული კაბა აცვია, ადევს მხარზე დიდი კოკა ხისა და სახედარივით წყალს ეზიდება. ქეთო დაჰმორჩილდა თავის სვე-ბედსა, აინუნშიაც არ აგდებდა მშობლებისა და მეზობლების ბუზღუნსა და გატუჩვასა.

ერთს საღამოს ტატე შინ არ იყო; ქეთეს, იმის ცოლსა, საკიდელზე ქვაბი ჩამოეკონწიალებინა; ზაქროსათვის ჩინჩხვარი შამოეზიდვინებინა, ცეცხლი აეფულებინა და დოს შეჭამანდს ამზადებდა. დარბაზში ბნელოდა, ხანდის-ხან ჩინჩხვარი თუ ასინათლდებოდა და კერას მიდამოს გაანათებდა ხოლმე; ქვაბმა თუხთუხი დაიწყო; ქეთო ციცხვს უტლაკუნებდა; ზაქარა-კი თავ-აუღებლივ ცეცხლს უბერავდა. პატარა ცხრა თთვის პეპე აკვანში გასჩხაოდა და იჭაჭებოდა, მაგრამ ქეთეს ყურს თითქო არც კი ესმოდა.

— რა უკუნაში სხედხართ, შვილო! შემოაჭრიალა დევერხინა კარები დარბაზისა და ფათურით შემოვიდა ქეთეს დედა; მკვარიც არის მაინც არ გაბადიათ?

— ნავთის „კრუჩკაცა“ გვაქვს, მაგრამ ნავთი გამოგვლევია და დუქნამდის ჩამგზავნი არავინა გვყავს, უთხრა წყნარად ქალმა.

— მამა შინ არ არის, თორემ ამოიტანდა; ისეთი კობალი გათალა, დიდი დედო, მამამა რომა... მოეხვია მუხლებზე შვილის-შვილი და თვალებში შესცაცქანებდა.

— რათ გათალა, შვილო?

— მგელს თავი უნდა გავუნაჭყოვო.

— მგელს კი არა და ტურა არ გინდა! მეველეთ დაუყენებიათ, უთხრა ქეთემ.

— ეგ-ღა აკლდა, ეგა!.. ეჰ, შვილო, ჩემი კი არა გესმით-რა და რა გამოვიდა... ეჰ! ამოიხრა და პატარა ხანის სიჩუმის შემდეგ დაიწყო: რა არი, შვილო, როდემდის უნდა იყო აგრე ჯიუტი; დედა ვარ, განა დედინაცვალი! ღმერთმა ხო იცის და ი იესო დამბადებელმა, რო გული მეწვის და წელები მეხლაკნება, აგრე ხელ-მოკლედ რო გხედავ. შვილო! აბა, სირცხვილი ხომ არ არის და სიკვდილი, რო მოხვიდე და რაც გაჭირვება გადგია, მითხრა ხოლმე. ე შვილი ხო მოგესწრო, მისვლა-მოსვლა ხო შეუძლიან; გამოგზავნე ხოლმე და როგორ არას მოგაწოდებ, მე უბედურის დღისაი. სული მეტანჯება, ღმერთო, ხო შენა ჰხედავ. შვილი ხარ, შვილო, და განა დედის ჯიგარი აღარა გაქვს.

— როგორც იქნება ჩემ ძაღლ ცხოვრებას ბოლომდინ გავათრევ. ყველა ქოქში მიღებდით, ყველამ თვალი ამარიდეთ და ტუჩი ამიბზუკეთ; მეც ყველას თავი დავანებე. თუ ღმერთმა ე შვილები დამიზარდა, არავისი სინაბარა არ გავხდები; წავალ, სოფელი განიერია, მივდგებ-მოვდგები, ე შვილებს დავატყვევებ ვისთანმე და ხელობაზე კი დავზდი, უთხრა ქეთემ.

დედა ძრიელ გაჯავრდა; გულზე ცეცხლი მოეკიდა და უთხრა:

— იჰ! შვილო! ნეტამც მუცელში გამწყალებიყავ, ნუღარვე, ჰო და ჰო! ე ამოსაწყვეტი შვილი, ვისი რა გამოვიდა ასეთი უკმეხი და ჯიუტი!.. შვილო ზაქა, წადი ჩვენსა და უთხარი: ღიდი-დედამა-თქო, ცოტა ნავთი და მკვარი გამოგზავნეთ თქო... სად არი ი კაცი, შვილო! მოუტკბა დედა ქეთესა. ბურნაჩაშვილი დაგვპირდა, რო შენ სიძე ტატესა ვენახს მივცემ საიხელიოთაო; თუმცა ავყია კაციაო, მაგრამ მართალი და სვინიდისიანი კიაო. აილოს, შვილო; შენმა ძმამა სთქვა კიდევა, რომა ორი დღის სასიმინდეს მოვუხნავო... არა, რა გამიხდა ე შენი ქმარი, შვილო, რო

რამ მისი საქმეები არეულ-დარეული არისო და ამიტომ ამ „ამხანაგობის“ მმართველნი ხმას არ იღებენო. სწორედ ძალიან თავის მართლებაა ამისთანა საზოგადო საქმეში! კმარა ამდენი მალულობია! წევრებმა მაინც გაიგონ კარგად, როგორ მიდის „ამხანაგობის“ საქმე. თუ რამე ბოროტ-მოქმედება აღმოჩნდება, უმჯობესია, მალე გაანთავისუფლონ ძველი მმართველები „ამხანაგობისა“ და ახლები ამოირჩიონ.

აქაური

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნებას ვითხოვ, რომ ამ ჩემს ქვემოხსენებულს შენიშვნას ადგილი უბოძოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.

მეთაურ წერილში (№ 39, თებერვლის 22-ს 1887 წ.) არის ნათქვამი დიდი სამდურავი იმ „მეორე ჯურის ოსტატებზე, რომელნიც თვითონ ღვინის დაყენებას და კეთებას ჩვენსას აბუჩად იგდებენ“. „რადგანაც ამ ჯურის კაცებს, გაზეთის სიტყვით, ან უნახავთ, ან გაუგონიათ, რომ ევროპაში დიდის ოსტატობით ხმარობენ შანტალის (შაპტალის) და გალის სისტემებს ღვინის კეთებაში და რომლებსაც უძახიან შანტალიზაციას *)

*) ეს უნდა კორექტურული შეცდომა იყოს და ნებას ვითხოვ გავასწოროთ. ქიმიკოსი, რომელზედაც ლაპარაკობს გაზეთი, გრაფი შაპტალი უწინ ქიმიის პროფესორად იყო მონპელიეს სამეურნეო სასწავლებელში და მისგან მოგონებულ მეთოდას ღვინის კეთებისას იმისივე სახელი შაპტალიზაცია დაარქვეს.

ავტორი

სიხარულით ვასწორებთ, სწორედ ეგრე გახლავთ და მადლობელი ვართ შეცდომის ჩვენებისათვის. ჟან-ანტუან დე შაპტალ საფრანგეთის ქიმიკოსი ჯერ მკურნალად იყო მონპელიეში, 1800 წ. შინა-საქმეთა მინისტრად გახდა და იმ ხანში, რომელსაც „ასის დღის“ ხანას ეძახიან ისტორიაში, იყო სახელმწიფო მინისტრად და დირექტორად მანუფაქტურისა და აღებ-მიცემობისა. გარდაიცვალა 1832 წელსა. ჩვენს წერილში შეცდომით ასო „პ“-ის მაგიერ ასო „ნ“ შეპარა ყველგან, სადა კი „შაპტალი“-ა მოხსენებული.

რედაქ.

(შაპტალიზაციას) და გალლიზაციას და ფეუქსინით ღვინის დაფერვას „ფეუქსინიზაციას“ და რადგანაც ეს სისტემები არ არის ჩვენში შემოღებულნი,—ზემოხსენებულნი პირნი ამით სწუნობენ ჩვენებურს ღვინის კეთებას“. რაკი ამისთანა თავ-ბრუ დასახვევი სისტემები, როგორც შანტალიზაცია (შაპტალიზაცია), გალლიზაცია და ფეუქსინიზაციაა, მიღებულია ევროპაში, სხას კარგია, და რადგანაც ჩვენში არ არის შემოღებული ეს სისტემები, არც ღვინის კეთება გვცოდნია და არც რიგიანი ღვინო გვქონია. აი ამაზე თურმე აშენებულიო, გაზეთის სიტყვით, აზრი ჩვენის მწუხრთვნელის შენაურის და გარეულისა.

ჩემის აზრით, მეც მინდოდა ერთი-ორი სიტყვა მეთქვა იმ პირების შესახებ და მათს ჩვენს ღვინის კეთების ჩვარში გასვლის თაობაზე და მერე რომ ავილე და დავიღე და ვეღარ ამოვიკითხე გაზეთიდამ, ვინ არიან ის პირნი და რითი აიგდეს იმათ აბუჩად ჩვენი ღვინის კეთება, მივატოვე ამაზე ლაპარაკი.

მაშ ისევ სჯობია, ერთი-ორი სიტყვა ვსთქვათ იმ მეთოდებზედ, რომლებსაც უძახიან „შაპტალიზაციას“, „გალლიზაციას“ და მესამეს მე დავუმატებ „პეტიოტიზაციას“. მინამ ვიტყოდეთ რასმეს განსაკუთრებით ამ მეთოდებზე, საზოგადოდ უნდა მოვიხსენიოთ, თუ რაზეა დამოკიდებული კაცის მხრით, მაგალითად, ღვინის მკეთებლის მხრით, ამ მეთოდების ხმარება.

როგორც ვიცით, ღვინის სიკეთე იმაზეა დამოკიდებული, დამწიფებულია ყურძენი, თუ არა. დაუმწიფავარს ყურძენს სიმჟავე მეტი აქვს და შაქარი ნაკლებად. მაშასადამე, ამისთანა ყურძნიდამ დაწურება მჟავე, ალკოჰოლით ღარიბი, ესე იგი სუსტი ღვინო. ამისთანა მჟავე ყურძნიდამ რომ ხეირიანი ღვინო დადგეს და პატრონმა გამოიყენოს, მგონია, ეს ვენახების პატრონებისათვის სანატრელი იქნება! რომ ამისთანა ღონის-ძიებას ეძებდა კაცი რამდენისამე ასის წლის წინადაც, ამას მოგვითხრობს ღვინის კეთების აწინდელი ლიტერატურა. ზოგიერთს ხალხს ჰქონიათ ჩვეულებად მაჭარში ზღვის წყლის გარევა და სხვა-და-სხვა ნარევების ჩამატება, რომ მომეტებული სიმჟავე გამოეცალოთ ახალ ღვინოსათვის. სამხრეთ ქვეყნებში ეხლაც კი დაადუღებენ ხოლმე მკვლებურ ჩვეულებით ყურძნის წვენს და შიგ ჩაუმატებენ ნაცარს ვითომ იმ განზრახვით, რომ წვენმა ქაფი ზემოდამ მოიგდოს, მოიხადოს და ამ გვარად წვენი დაიწმინდოსო. ამ ნაცრის ჩაყრის მიზეზი კი ის არის, რომ ნამეტანი სიმჟავე გამოაცალონ წვენსა. ასე გაკეთება ღვინის წვენისა საჭიროა განსაკუთრებით იმ წლებში, როდესაც ყურძენი მოსწრებული არ არის და ნამეტანი სიმჟავე აქვს.

ამისთანა ცუდი წელიწადი გასული წელიწადი იყო ჩვენის საქართველოს ზოგიერთ ადგილებისათვის. მთელს თელავის მაზრას ერთობ მჟავე ღვინო მოუვიდა, როგორც სწერდნენ „ივერიაშიავე“. აგრეთვე ქუთაისის მთელი გუბერნია—ბევრი წილი რომლისა სრულებით უღვინოდ დარჩა და თუ ვისმე რამ მოუვიდა, ისიც მჟავე იქცა (ლეჩხუმის, რაჭის და შორაპნის მაზრები, მაგალითად), როგორც მე თვითონ ჩემის თვალით ვიყავი ამის დამსწრე. აბა რა წამალი დასდეს ან თელაველებმა და ან საზოგადოდ იმერლებმა? ამაზედ გვიპასუხოს „ივერიამ“.

მაშ ღვთის წყალობაა, თუ არა, რომ სამზღვარ-გარედ—ევროპაში მიღებული არის „შაპტალიზაცია“, «გალლიზაცია» და „პეტიოტიზაცია“—ყველა ეს, რომლის ცოდნით და წყალობით იქ ვენახის პატრონი აკეთებს დამჟავებულ ღვინოს და ამით ხარჯსაც გამოდის, ერთ-ორ გროშსაც იჩენს და ეს ღვინო კაცის აგებულებასაც არას უშავებს. ამ ნაირად ნაკეთებ ღვინის დალევა უფრო სანატრელია, თუ იმისთანისა, რომლის დალევა მე მომიხდა შარშან ზაფხულში საჩხერეს ერთის პატიოსანის თავადის სასლობაში? დამალევინეს საჩხერის ღვინო და მეგონა, რომ აზამბურს ამოვყოფ-მეთქი თავსა.

აგრონომი გლად. ინანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## პატარა მოთხრობა

შხამიანი გველი

საზოგადოდ აფრიკასა და აზიაში ბევრი გველია, მაგრამ ყველაზედ შხამიანი ერთი გველია, რომელსაც ნაიას ეძახიან. სხვა გველნი მხოლოდ მაშინ იკბინებიან, როცა მშიერნი არიან, მაგრამ ნაია ყოველთვის ეტანება მსხვერპლსა და ამას გარდა კიდევ იმით განირჩევა სხვა გველებისაგან, რომ საშინელი ძლიერი და ბრაზიანი გველია.

ეს საშინელი მცურავი უფრო აზიაშია ბევრი, ცეილონის კუნძულზე და სამხრეთ აფრიკაში. ნაია დიდის ხეების ფუღუროებსა და ქვებში იმალება და ბუყუნებითა, მინდვრის თაგვებითა, თხუნელებითა და ფრინველის კვერცხებით იკვებება. ამისთან ნაია ყოველ-გვარს პირუტყვს ეტანება და არც კაცს დაინდობს, თუ შეხვდა.

აფრიკაში, კაპშტადტის მკვიდრ მცხოვრებელთა და მეტ კაცებს ბევრი მსხვერპლი უნახავსთ ნაიასი. კარგად ახსოვთ სოკვდილი ახალგაზრდა ქალის ანდერსონისა. საბრალო ქალი ტყეში დასეირნობდა, ნაიამ უკბინა ფეხზე და სწორედ ათის წუთის შემდეგ გარდაიცვალა გველით დაკბენილი ქალი.

რამდენისამე ხნის შემდეგ ერთი მოგზაურიც მოინარიკლა ამავე ნაიამ. ეს მოგზაური წყალში ფონზედ გადიოდა და ამ დროს უეცრად საშინლად დიდი ნაიას ჯიშისა მცურავი, მივარდა. მოგზაურმა ხელი იტაცა, თავისი ჩალის ქუდი მოიგლიჯა და შორს გადისროლა. ამ ხერხით მოიშორა გველი და თითონ პირდა-პირ წყალში გადავარდა; გველი მოსტყუვდა, ჩალის ქუდს გამოუდგა, მაგრამ რაკი ნახა, მოსტყუვდიო, ისევ კაცს გამოეკიდა, წყალ-წყალ დაედევნა და სასიკვდილოდ დაჰხამა. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ნაია თითქმის ერთად-ერთის ჯიშის გველია, რომელიც წყალს არ ერიდება და პირ-იქით, უყვარს კიდეც ბანაობა.

საშინელი ნაია ხშირად ისეთი შეუპოვარი და გამბედავია, რომ ღობეს შეებრძოლება ხოლმე; ბევრჯელ უნახავთ, რომ უზარ-მაზარი სპილო დაუშხამავს ამ გველს და მოუკლავს.

ფუჟბერტ დიუმონტელი, რომელსაც საზღვად გველების დაუცხრომელს მტერს ეძახიან და ბევრი გველიც გაუწყვეტია ამ კაცს, აი ერთს რა ამბავს გვიამბობს ნაიას შესახებ.

ერთი ახალგაზრდა ინგლისის ჯარის აფიცერი მიდიოდა კაპშტადტიდგან თავის ჯარში. იმ ქვეყნის ჩვეულების თანახმად, აფიცერი ერთს ცხენიანს ეტლში იჯდა და თურმე მარტო. გზის ერთს შესახვევში აფიცერს დაეგერა უშველებელი ნაია. აფიცერმა დამბაჩა ესროლა და კუდში დასჭრა გველი. დამბაჩის სროლისათანავე ცხენი გააჭენა, ეგონა, რომ გავექცევი მცურავსაო. საუბედუროდ, მეტად უსწორ-მასწორო და ოღრო-ჩოღრო გზა იყო და ცხენი ჩქარა ვერ გარბოდა. ჭრილობით გაბრაზებული გველი-კი მარდად მიცურავდა და ეტლს ეწეოდა. ეს ის უნდა მიემატა და ცხენი წაექცა საბრალო აფიცერს. საშინელს მდგომარეობაში იყო უმწეო-კაცი. ამასობაში მცურავიც დაეწია ეტლს და პირველად კაცს დაეგერა, რადგან გრძნობდა, რომ კაცია ჩემი მტერი და არა ცხენიო.

აფიცერი გადმოხტა ეტლიდგან და პატარა გორაკზედ აცოცდა. გველი-კი ეტლში შეძვრა და თითქოს თავის მსხვერპლის წამებითა და ტანჯვით უნდა დასტკბესო, ნელ-ნელა და სისინით მიუახლოვდა თავისი მომაკვდინებელი ისარი გორაზედ აცოცილს აფიცერს. შიშმა გააქვავა და გონება დაუფანტა უმწეო-კაცს. თავს ძალა დაატანა, შიშს დაძლია, ფეხზედ შეაყენა დამბაჩა და დაუმიზნა მცურავს. ამ დამბაჩაზედ-ღა იყო იმის სიკვდილ-სიცოცხლე დამოკიდებული და იმაზედ, თუ როგორის სიმარჯვით ესროდა მცურავს, რადგან დამბაჩაში ერთის სროლის მეტი აღარ იყო. გავარდა ტყვია და ნაია საშინელის სისინითა და კუდის კლაკვნით გადმოვარდა ეტლიდამ. აფიცერმა იდროვა, ქვებს წამოავლო ხელი და ჩაჩქვა საშინელი ნაია.

ამ გველის დაკბენილი მტრედი სამს წუთზე მეტს ვეღარა სძლებს, ქათამი ხუთს წუთზე მეტს; ყურდღელი რვა წუთს და ძაღლი-კი ათს წუთს უძლებს შეუმჩნევიათ აგრეთვე ისიც, რომ თუ ნაიამ რამდენიმე ერთად დაჰკბინა, მცურავის შხამს ძალა უსუსტდება და პირველი დაკბენილი მტრედი, მაგალითებრ, რომ სამის წუთის შემდეგ მოკვდეს, მეორე ხუთის წუთის შემდეგა კვდება, მესამე შვიდისა და სხვა. ამასთან ისიც შეუნიშნავთ, რომ ნაიას შხამი პირველში სულს უხუთავს კაცსა და თვალის სინათლეს უკარგავსო.

ყველაზედ კაი წამალი ამ გველის დაკბენილისა ის არის, რომ გამთბარი ღვინო უნდა სვას კაცმა და ამასთან ერთად შე-

---

ქვეყანას ეგ ესხმის ნიორიგითა; აჟყიაობით რას უნდა გახდეს; ქვეყანას ეგ ხო ვერ გაასწორებს. ღმერთს როგორც გაუჩენია, ისე კიდეც დაარჩენს; იმის წყალობის ჭირიმე, მაღალ-მდაბლობა იმის გაჩენილია. ღმერთო, ნუ მიწყენ შენ ხსენებასა; ვისაც არა მგონია, ეგ ედოყება. სარქისას დუქანში იმ დღესა ნავთის საწყაო დაემტვრია, ნაკლები გაქვსო; კოჭლი დათიკა ბალდასარას ბიჭისათვის, აი მეწვრილმანე რო დაეხეტება,—რკინის ადლი ზედ დაემტვრია, შე მაწანწალა ძაღლოვო, ქვეყანას შენ ატყუებო. რა ჰსჯის, რა აცოდვილებს; მადლობას ვინ ეტყვის. მამასახლისთან უჩივლია ყიყვიან სარქისასა და ი კოჭლ ბალდასარას ბიჭსა, და ახლა, ვინ იცის, იქნება საბრიყვოც დაადონ. ბავში ხომ აღარ არის, ცოლ-შვილის პატრონია, ჭკვა როგორ არ უნდა მოიკრიფოს. ახლა ე ტიელა მეველეობაც მიუჩეჩებიათ და შენი მტერი!.. რა ექნა დედავ და თვალო, ჩემი ენა ჩემი მტერიაო!!. ყელი გამოვჭერ შვილსა, ყელი; ბედნიერ დედას მეძახდნენ და დახე რა მიყო წუთი-სოფელმა, ჩაიწუწუნა ქეთეს დედამა და ბოძს მიაყდნო წელი.

ქეთემ ქვაბი ჩამოხსნა საკიდელიდამ, ცეცხლა-პირს მისდგა და ჯამი დაავარა. ცეცხლი ჩაიფერფლა, ჩაქრა. მიჩუმდნენ. ზაქას დიდი-დედამ ჰრაქს დაუწყო ცოდილობა; ზაქა კერასთან წამოგორდა: ბანიდგან ჩამოიჭყიტებოდნენ ვარსკვლავები და იმაზე ერთობოდა.

— იჭყიტელა, ბიჭყიტელა, ბანიდგან ჩამოიჭყიტება,—რა არის? აბა გამოიცანით? ჰკითხა ზაქამ, მაგრამ ხმა არავინ გასცა; ზაქამ აინუნშიაც არ ჩაიგდო და თავისებური სიმღერა ააზმუკუნა.

— ქეთე, ქეთე! ერთი გამოასინათე რამე, ადამიანო! ე „კრუჟკა“ არ გინთია... ასე მოდი, მამასახლისო... ტიპრა, გიგო, ესე გვერდზე მოდი, ე ბაკის მარგილს არ წააწყდე,—მოისმა დერეფნიდამ ტატეს მკვახე, კაჟი ხმა.

ქეთეს ელდა ეცა; გული დაელრლნა, რომ ტატეს, იმის ქმარს, უდრო-უდროდ მოუდის სახლში ხალხი, მერე მაშინ, როცა იმისი დედაც იქ იყო; მაგრამ გაჩუმდა, ჯავრი გულში ჩაიკლა. ტატე შემოუძღვა ამხანაგ-მეველეებსა, კერის ძირას დასდგა ერთი გოზაური ღვინო და იქვე გამხმარი სათლის კუდი დაავდო.

— ჩემო დედა ტასია, ჩემო ნათლიდედა ქეთე, უნდა მოგილოცოთ, რო ტატე მეველედ აგვარჩიეთ. ასლი ამის საქმეა, ჰო მე და ჩემმა პირმა; მაინც ყველაფერში ეგ იყო და მაინც... ღვთის წინაშე და არც ურიგოა: ხალხი თავის ულუფას არ მოაკლებს მეველესა; ზოგ თითონაც გაირჯება და წავა და უკეთ დარჩება, ხელ-მოკლე კაცია, უთხრა მამასახლისმა.

— წოწიალი, მამასახლისო, წოწიალი? ეგ-ღა ეჭირვებოდა მაგის ნაილაჯევს სახლ-კარსა აი!

— ჩემო ქეთო, წუწუნს ნუ მოჰყვები-მეთქი, ნუ! ვენაცვალე ჩემ წილ ღმერთსა, სოფელმა ამირჩია და უარი არ გაეწყობოდა... უნდა ყველა კაცი თავის ღმერთსა და სინიდისს ემსახუროს... ი სულით განათლებული ჩემი ოჰტატი დიმიტრი მღვდელი, მე რო წიგნი მასწავლა, სულ იმას ჩამჩიჩინებდა, რო კაცმა თავის თავსაც ხო უნდა არგოს, მაგრამ არც სხვა უნდა დაივიწყოსო; ამითანა კაცს ღმერთი არ დაჰკარგავსო. ისე ჩამეფინა გულში ეს სიტყვები, როგორც ნათელი.

— ჰეჰე! წიგნის კაცი კიდევ სულ სხვაა, ნათლი, სულა! სთქვეს თავის ქნევით გლეხებმა.

— კიდეც ი წიგნმა მოგატეხინა კისერი, რო შინ შიმშილით გიწევიან ცოლ-შვილი და გარედ სხვისთვის ფორჩხალობ, უთხრა სიდედრმა. ვინა გყავს, შვილო, მადლიერი.

— ღმერთი, დედი, ღმერთი, იმის მადლმა. მადლიდამ ჰხედავს მტყუანსაცა და მართალსაცა. ავქია კაცს მეძახიან, მაგრამა დაე მეძახონ.

— ნწ.... ღმერთი, ტატე, მართალს კაცსა მის დღეში არ გააფუჭებს... ღმერთმა შენ გაცოცხლოს, ჩვენო ტატე, პირი კომლი ნუ გაგიწყვეტოს ეჩვენმა კუბოსა მლვთიშობელმა... ვინძლი, ტატე, როგორც შენგან ვიცოდეთ, ისე გაუფრხილდე ჩვენ მინდორველსა....

— ჩვენ ხო ვეცდებით და ვეცდებით, მარამა, მამასახლისო, შენც უნდა თვალი გქონდეს და!.. ტყუილი არახელისაა: უნდა გითხრა, რომა სულ მოხელეები აზრიყვებთ და ათამაგებთ ხალხსა· ი ფიდუამ ის საქმეები უნდა ჰქნას, რასაც აქნამდი სჩადიოდა?! შვილოსანა, ერთი ხელადა ღვინითა საყდარს დაგანგრევინებთ კაცი; საცა არა მგონია, იმის გუთნეულმა უნდა მოსძოვოს... საცა მყრალი კაცია, საცა სისხამიანი და მგელ-კაცა კაცია, თქვენ ხელს ნუ დააფარებთ, და ენახავ რასაც წაილებენ... მე რო ჩარექის კაცი ვარ და შენ ლიტრისა, იმიტომ ჩემზე დიდი როდი ხარ. ლიტრისა იმიტო ხარ, რო შეძლება გაქვს, და ახლა, ჩემო ბიძია, შეძლება რო გაქვს, იმიტო როდი უნდა დამჩაგრო რა. რათა რა?..

— მა, კაცო, მა! რათაო რა? ჩაიმეორეს ლუკმის ღეჭვით ტატეს ამხანაგებმა-მეველეებმა.

— ეგ სუ კარგი, ტატე, მაგრამ ახლა ის საქმე კი არა ჰქნათ, რო ფიდუათანა კაცები გაიმაგროთ და სხვებს კი ხელი გაუხსნათ, უთხრა მამასახლისმა, რომელსაც ტატეს ლაპარაკით კუდი მოეწვა და ხმას მოუტკბილა.

— მგელი სულ მგელია; როგორიც უნდა იყოს მგელი, მყრალია და მაზარალებელი; ავი კაციც ასეეა. ვინც დააშავებს, ის სოფლითვინა მგელზე მყრალი და მაზარალებელია... ჰჰ! თუ არ მოვკვდი—ჯერ კი სიკვდილი შორ არი,—ასე აგილაგმამ ი ლიტრის კაცებს, რო თავ-ბედი იწყევლონ.

— ჰო, შენმა ლხენამ, მატურს დაგადგმენ აი! ზმუკუნით უთხრა სიდედრმა.

— არა, ჩემო დედა, რასაც დამადგმენ, დამადგმენ... აბა დედა - შვილობას რა შენი საქმეა, რო... რა საჭიროა, ი მზის შუქი ჩაუვიდეს ბნელათა, ვინც ამ საქმეში დაზოგოს. კაცო, ქრისტიანები არა ხართ, რამდენი ცოდვილობა უნდა ერთ მარცვალს პურსა და სიმინდსა, მერე სიმინდსა; თუ ორჯელსამჯელ არ შემოუარე თოხითა თითო სიმინდის ღერსა, შიგ ჩაყვითლდება და ჩაკვდება; უნდა წამოუარო და მოაჰამო საქონელსა, საყდარი რო დაანგრიო, იმაზე კიდევ დიდი ცოდოა ეგა, მა.

— ნეტა მინდორი არ ატეხდეს მაინცა.

— თუ მოხელეები ხელს მოგვიმართავენ, კრინტს ვერა ვინ ამოიღებს; ამოიღებს და ვაჩვენებ სეირს, თუ თავსისხლიანს ვერ გავგზავნი და ეულვაში ნულა სხმია ამ ღერ-ბიჭსა. გადიგრიხა ტატემ ულვაში და გულში ხელი ჩაიკრა სიბრაზითა.

ს. მგალობლიშვილი

(შემდეგი იქნება)

ზავეზულის სპირტით, მეკკას ბალზამით, მწვანე საპონით და ამონიაკით უნდა დაიზილოს დაკბენილი ალაგი. ეს საშინელი მცურავი იმას არა ჰკმარობს, რომ კაცს შხამავს; ამასთან იმასაც სცდილობს, რომ დაშხამულს კაცს თვალები დაუდობლოს, და თუ ერთი-კი თვალები დაუდობლა, ნაკბენიც რომ მოურჩეს დადობლილს, უეჭველად თვალის სინათლე დაეკარგება, ვეღარა უშველის-რა.

ინდოეთში ერთ-გვარი წამალი მოუგონიათ, რომელსაც „გველის ქვას" ეძახიან. ჰოლანდიის მეცნიერი დოქტორი ტუნბერგი ამბობს, რომ ეს ქვა ძალიან კარგად არჩენს დაშხამულს: დაკბენილს ალაგზე უნდა დაადოთ და სხვა აღარა უნდა-რაო. ბევრს ვეცადე როგორმე მეშოვნა ეს ქვა, მაგრამ ვერსად ვერ მოვახელე, თუმცა ინდოელებს დიდ-ძალი ფული ვაძლიეო. როგორც გავიგე, ამ წამალს დამწვარის ძვლებისა, კირისა და რომელიღაც ხის ფისიდგან აკეთებენ. ამ წამალს ის ძალა აქვს, რომ დაკბენილის ალაგიდგან სისხლს ისრუტავს, სწოვს და შხამსაც თან ამოაყოლებს ხოლმეო.

თუმცა ასეთი საშინელი მცურავი ნაია, მაგრამ ამ ნაიასაცა ჰყავს ერთი მტერი, რომელსაც ვერც შხამით იმორჩილებს და ვერც დობლით აკლებს რასმე. ეს მტერი ფრინველია, ყარყატის მსგავსი. ამ ფრინველს ჭაობიან ადგილებში უყვარს ცხოვრება; ინგლისელები მდივანს ეძახიან, რადგან ყურთან ერთი ფრთა აქვს ამოსული ისე, როგორც ძველ კანცელარიებში ქაღალდის გადამწერები ბატის ფრთას გაიყრიდნენ ხოლმე-ყურს უკან. მდივანი შეუპოვრად და გამბედავად დაეტაკება ხოლმე ნაიას (თუ ნაია დიდია, მაშინ რამდენიმე მდივანი შეიყრება ხოლმე ერთად და ისე მიდიან გველთან საბრძოლად), თვალებს ამოსჩიჩქნის და თავის ღონიერის ნისკარტით თავის ქალას გაუპობს ხოლმე მცურავსა. ნაია ვერაფერს აკლებს ამ ფრინველს, საშინლად ეშინიან და დაინახავს თუ არა, მაშინვე გაიქცევა ხოლმე.

თქმა აღარ არის საჭირო, რომ მდივანს დიდს პატივსა სცემენ ინდოეთში და აფრიკაში ზოგიერთი ხალხი თითქმის ღმერთებს ამ ფრინველს.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** ბოლგარიაში დიდი უთანხმოებაა ამ ჟამად. სილისტრიაში დაბანაკებულ სტრუმის ქვეითა და ცხენოსანს ჯარს ცანკოვი რეგენტად გამოუცხადებიათ. ამავე დროს სოფიაში დაუპატიმრებიათ კარაველოვი, ნიკიფოროვი, ცანოვი, რიზოვი, ზარაფოვი, ტოპოვიჩაროვი, მაკედონსკი, ბურმოვი და სუკნაროვი.

— გაზ. „Neue Freie Presse"-ს აუწყებენ სოფიიდგან დეპეშით: დღეს დილით სარეგენტო მთავრობის ჯარი რუშჩუკსა და სილისტრიაში შევიდა. აჯანყებულთა მოთავე ხრისტოვი დახვრიტეს. მეამბოხენი გაიფანტნენ. წესიერება ჩამოგდებულია სარეგენტო მთავრობის-მიერ.

— გრუევი აჯანყებულთ დაუტყვევებიათ. სარეგენტო მთავრობას სამხედრო დიქტატორად პაპოვი დაუნიშნავს.

— სოფიიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Neue Freie Presse"-ს: ის აზრი, რომ ბოლგარია თავისუფალ სახელმწიფოდ გამოეაცხადოთ, თვით ბოლგარიის მმართველებმა წარმოსთქვეს პირველად და ოსმალეთსაც წინააღმდეგობა არ გამოუცხადებიაო.

— ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას განუზრახავს ლონდონში 15 მილლიონი იშოვნოს სესხადა.

— სტამბოლიდგან აუწყებენ გაზ. „Новое Время"-ს, რომ ოსმალეთი ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას უფრო მომხრეობს ამ ბოლოს დროს და რომ ინგლისმა, როგორც სჩანს, ხელ-ახლად ჟაიახლოვა და დაიმეგობრა ოსმალეთიო.

**საფრანგეთი.** პარიჟელი კორრესპონდენტი გაზ. «National Zeitung»-ისა ამბობს, რომ ბულანჟესა და ფლურანსის შორის რაღაც უთანხმოება ჩამოვარდა და შემდეგ კი აი რას მოგვითხრობს: 16 თებერვალს ბულანჟეს სადილი ჰქონდა და ამ სადილზედ დაესწრნენ ფრეისინე, ფერრი და სხ. მინისტრებიო.

**ავსტრი ვენგრია.** ვენელი კორრესპონდენტი «Daily News»-ისა ამბობს, რომ თუ იტალია, ავსტრია და გერმანია შეკავშირდნენ, ეს კავშირი ყველაზედ უფრო მეტად ავსტრიისათვის იქნება სასარგებლოვო. ვინიცობაა ავსტრიას ომი მოუხდა, იტალია 200,000 ჯარის-კაცს მიაშველებსო.

— კერძო დეპეშით აუწყებენ გაზ. „Post"-სა, რომ შტირიის თოფ-ზარბაზნის ქარხნებში იმდენს იარაღს ამზადებენ, რომ ავსტრიას შეუძლიან ამ გაზაფხულზედვე შეაიარაღოს და თოფქვეშ დააყენოს თავისი ჯარიო.

— ავსტრია კარლო-ლუდვიგის რკინის გზის გაყოლებით ჯარის სადგომებს აშენებს. გაზ. „Times"-ის ვენელის კორრესპონდენტის სიტყვით, გალიციის მკვიდრნი ისე შეუშინებია ამ ამბავს, რომ ბევრნი ვაჭარნი დუქნებს ალაგებენ და იხიზნებიან გალიციიდამაო.

— „სტეფანის სააგენტო" გვაუწყებს, რომ დეპრეტისმა უარი სთქვა, ახალ სამინისტროს ვერ შევადგენო. ამის გამო მეფე ჰუმბერტს ჯერ დეპუტატთა პალატის თავს-მჯდომარე ბიანკერისათვის და მერე ფარინისათვის უნდოდა მიენდო ეს საქმე, მაგრამ არც ერთმა და არც მეორემ ეს საქმე კისრად ვერ იდო. მეფემ მერე დაიბარა სარაკო და რუდინი, ბევრხანს ელაპარაკა თურმე, მაგრამ ამათთანაც ვერაფერი გააწყოვო.

— იტალიის გაზეთები გვარწმუნებენ, რომ იმ მიწის-ძვრამ, რომელიც ამ ხანებში იყო სამხრეთ საფრანგეთში და ჩრდილო-იტალიაში, 100 მილლიონამდე აზარალა ეს სახელმწიფოვო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ამ ჩემს პატარა შენიშვნას დაუთმოთ ადგილი თქვენს გაზეთში.

5-ს თებერვალს ამა წლისას მე კანონიერად შემოწმებულის საფოსტო განცხადებით მივედი ტფილისის ფოსტის კანტორაში ფულის მისაღებად. ფოსტის მოხელემ გამოიტანა პაკეტი და მთხოვა მომეწერა ხელი დავთარში. ავილე ხელში კალამი და ის იყო დავაპირე წერა, უცებ მკითხა: „რუსული წერა იციო."

— არა-მეთქი, გუპასუხე. მაშინ ამ მოხელემ გამომართვა კალამი და დავთარი და უკადრისად შემომიტია: „ქართულად ხელის მოწერა არ შეიძლებაო, თუ თქვენ წერა-კითხვა არ იცით (если вы неграмотны), სხვასა სთხოვეთ, რომ თქვენ მაგიერ ხელი მოაწეროსო." კარგია რომ ამ დროს თანა მყავდა ჩემი ქალი, რომელსაც მოაწერინეს ჩემს მაგიერ ხელი ამ რიგად: „по неграмотности такой то росписалась дочь ея С. С."—ამ რიგად, ბატონო, ფოსტის მოხელემ ხელად დამავიწყა წერა და მიწოდა „безграмотная". ნუ თუ ქართული იყოს თუ სომხური წერა-კითხვა—წერა-კითხვად არ ითვლება და ნუ თუ მართლა არსებობს ისეთი კანონი ან განკარგულება, რომ არ შეიძლიან მოვაწერო ხელი ქართულად. ვსთხოვ უმორჩილესად რუსულის გაზეთების რედაქციებსაც, გადაბეჭდონ ეს ჩემი წერილი და აღადგინონ სიმართლე.

ეკატერინე სულხანოვისა

## გასართობი

**ავტორები პირველ წარმოდგენაზე.** ერთი პარიჟელი გაზეთი მოგვითხრობს, რას შვრებიან ავტორები, როდესაც ამათ ნაწარმოებს პირველად ადგენენ სცენაზე.

კომპოზიტორს ობერს ჩვეულებადა ჰქონდა, როცა ამის ნაწარმოებს ადგენდნენ სცენაზე, ქუჩაში დაიწყებდა ხოლმე წინ და უკან არჩქარებულ სიარულსაო.

ლაბიში სადმე მივარდნილ პივახანაში წავიდოდა ხოლმე და ლუდსა ჰსვამდა.

ბარიერი სიგარების წევას მოუხშირებდა ხოლმე და მანამ წარმოდგენა გათავდებოდა, თორმეტამდე სიგარას გააწყობდა ხოლმეო.

სკრიბი ლოჟაში ჩაჯდებოდა ხოლმე სწორედ სცენის პირ-და-პირ და რასაც სცენაზე სჩადიოდნენ, ესეც იმას იმეორებდაო."

სარდუს თუ თავის ტკივილი არა აქვს წარმოდგენის დღესა, მივა ხოლმე თეატრში, მაგრამ არტისტებს კი სრულიად არ უგდებს ყურსა და უფრო საზოგადოებას ადევნებს თვალსა, აბა რას ამბობენ ჩემს ნაწერებზეო.

ოფენბახი ისე აჩვენებდა თავსა, ვითომ ყურადღებას არაფერს ვაქცევო, მაგრამ გული კი საშინლად უღელავდა.

მეიერბერი თეატრის შესავალ კარებში დადგებოდა და საზოგადოებას თვალ-ყურს ადევნებდა.

გალევი ნაცნობსა და უცნობს სულ ერთსა და იმავეს ჰკითხავს ხოლმე: „რას იტყვით, გამოდგება?"

მასე თეატრიდგან გაიქცეოდა ხოლმე, თუ მომღერალი ან დამკვრელი შეცდებოდა და ხმას სწორედ ვერ აიღებდა. ლოკრუა ავად გახდებოდა, როცა ამის ნაწარმოებს პირველად თამაშობდნენ. ერთხელ იქამდინ მივიდა, რომ წარმოიდგინა, ვითომ ჩემი ნაწერი სრულიად არ მოეწონათ თეატრშიო და გამწარებული ქუჩაში ხეზე აცოცდა.

როდესაც ალფონს დოდეს „ნუმა რუმესტანს" თამაშობდნენ პირველად, ავტორი დირექტორის ოთახში იჯდა და თეატრში ფეხი არ გამოუდგამსო.

## დეპეშა

28 თებერვალი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფოს რჩევისა სასისხლო სასამართლოს წესდებულობის შეცვლის შესახებ: მცირე წლოვანთა და მოსწავლეთ სრულიად აკრძალათ სასამართლოში სიარული საქმების გარჩევის დროს. მცირე წლოვანებსა და ქალებს სასამართლოში საქმის გარჩევაზე დასწრება შეუძლიან აღუკრძალოს თავ-მჯდომარემ, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავს, საქმის გარემოების მიხედვით სტუდენტებსა და უმაღლეს სასწავლებელთ მოწაფეთ შეუძლიანთ დაესწრონ სასამართლოში, როდესაც თავს მჯდომარე დაინახავს რომ ამათ აქ დაესწრება სარგებლობას მოუტანს და ნებას დართავს გარდა ამისა სასამართლოს კარები დაიხურება და გარეშე ხალხს არ შეუშვებენ, როდესაც განსახილველად იქნება ისეთი საქმეები, რომელიც შეეხება სარწმუნოებას, ზნეობას, საზოგადოებას სახელმწიფოს წესიერების დაცვას.

ერთის სიტყვით, როდესაც იუსტიციის მინისტრი დაინახავს, რომ რომელიმე საქმე საჯაროდ არ უნდა იყოს განხილული, ამის შესახებ განკარგულებას ახდენს და აცნობინებს სასამართლოს თავს-მჯდომარეს. როდესაც საქმე საჯაროდ არ შეიძლება გაირჩეს, მაშინაც შეუძლიანთ სასამართლოში დაესწრნენ ბრალ-დებულისა და მომჩივანის ნათესავნი და ნაცნობნი, თუ თითონ ბრალ დებული და მომჩივანი მოითხოვს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ არც ერთის მხრივ სამ-სამ კაცზე მეტი არ შემოუშონ სასამართლოში. სასამართლოს გარდაწყვეტილება კი ყოველს შემთხვევაში საჯაროდ უნდა იყოს გამოცხადებული.

**სტამბოლი.** ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა მზად არის დასთანხმდეს ოსმალეთის წარმომადგენელს მხოლოდ ერთის პირობით კი: არა გვსურს, რომ სარეგენტოში მოპირის პირე დასი შემოერიოსო, რადგან ქვეყანა ჩვენ გვენდობაო. ოსმალეთი დიდ სახელმწიფოებს გამოეკითხება ამის შესახებ პეტერბურგში კიდეც გამოუგზავნიათ ქაღალდი ამის თაობაზე.

**ბერლინი.** სამხედრო კანონი რეიხსტაგმა ერთ-ხმად დაამტკიცა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ მოიწონა ჯარებისთვის დანიშნულ ხარჯთა აღრიცხვა.

**სოფია.** კარაველოვი, ცანკოვი, ნიკიფოროვი და სტანჩევი ციხიდგან გაუნთავისუფლებიათ თავდებობით.

**რომი.** პალატამ 214 ხმის უმეტესობით 194 წინააღმდეგთ უარ ჰყოკრისპის წინადადება რომ დეპრეტისს სამინისტროს უნდობლობა გამოუცხადოთო.

გუშინ ნიცას, კანას, მენტონს, ვინტიმილას და რავერის ზოგიერთ სხვა ალაგებში კიდევ მიწის-ძვრა იყო, თუმცა ისეთი უბედურება კი არ მოჰყოლია, როგორც ამას წინად. ხალხს უბედურება არა შემთხვევიარა. მონაკოში უცხო ქვეყნები შიშით აღარ არიან.

**ლონდონი.** ინგლისსა და რუსეთს პირობა შეუკრავთ, რომ დამნაშავენი გავსცეთ და ერთმანეთს დავუბრუნოთო. ფერგიუსონმა მოახსენა პალატას, რომ ინგლისის მთავრობას ჯერ არავითარი ამბავი არ მიუღია. რუსეთიდგან იმის შესახებ, რომ ბოლგარიაში მეამბოხენი დასაჯესო.

**პარიჟი.** პალატას გარდუწყვეტია, უცხო ქვეყნიდგან შემოტანილ ხორბლეულობას ბაჟი მოემატოსო.

**პეტერბურგის ბირჟა, 27-ს თებერვალს**

**ფ ა ს ე ბ ი:**

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 9 25 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 179½ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | 244½ |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 238 |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | 97 | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | 97 | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. | 85 | — » | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუჩ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულისწმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

მარტი 31 დღით არის

**1 დღე კვირა.** ღირს. ქალწ.-მოწ. ევდოკიასი. კათოლ. ეპისკ. ალბინისა და ანტონინისა. გარდაცვალება იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის-ძისა, 1881 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—15, ჩადის 6—5. მთვარე 12 დღისაა.

**2 დღე ორშაბათი.** წმ. მოწ. თეოდორასი. კათოლ. იმპ. ელენასი, ამელიასი და სიმფორიანისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ტახტად ასვლა მ. დ. იმპერატორის ალექსანდრე III-სი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—14, ჩადის 6—6.

**3 დღე სამშაბათი.** წმ. მოწ. ევტროპ, ზენონ და ზოილისა. კათოლ. კენეკუნდისა და კორნელიასი. მუსულ. გარდაცვალება ხალიფის აბუბექარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—12, ჩადის 6—7.

**4 დღე ოთხშაბათი.** ღირსისა გერასიმესი. კათოლ. ნიმფასი და ლუციასი. სომეხ. მე-17 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—10, ჩადის 6—9. მთვარე 22 დღისაა.

## კერძო განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამსესხებელი კასსა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ეს კასსა ამ 1887 წლის 3 მარტიდგან დაიწყებს მოქმედებასა.

1) სესხი კასსის-მიერ გაიცემა არა ნაკლებ ორის მანათისა და არა უმეტესს ოცის თუმნისა.

2) კასსა გასესხებულს ფულზედ 12% აიღებს წლიურს სარგებელს და გარდა ამისა დაგირავებულ ნივთების შესანახი კიდევ ცალკე გამოერთმევათ ფულის მსესხებელთ: 1—3 თთვემდე ¼%, 3—6 თთვემდე 1%, 6— თთვემდე 3% და 9—12 თთვემდე 4%.

3) ფულის სარგებელი და აგრეთვე ნივთების შესანახი ფულის მსესხებელთ გამოერთმევათ ბოლოს, ე. ი. მაშინ, როცა თავის ნივთს დაიხსნიან, ან სხვაგან გადააგირავებენ და ან საჯაროდ გასყიდვის დროს.

4) კასსა ფულს გაასესხებს ოქროსა, ვერცხლსა, ძვირფასს თვლებზედ და სხ. დასაგირავებელი ნივთები რიგიანად უნდათ შეახვიონ პატრონებმა და ყუთში ჩაალაგონ და ისე წარმოადგინონ დასაგირავებლად.

კასსა ღიაა ყოველ-დღე გარდა კვირაუქმე დღეებისა, დილის 9 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე; გირაოს მიღება შეიძლება დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

ქალაქის გამსესხებელი კასსა იმყოფება ქალაქის სახლში, ერევნის მოედანზე. შესავალი კასსას საერთო აქვს საქალაქო გამგეობასთან. (3—1)

Дов. ценз. Тиф. 28 февраля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე